

რას ფიქრობენ სტუდენტები უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციის შესახებ

ანა კამლაძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარმოდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე უმაღლესი განათლების
ადმინისტრირების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების
შესაბამისად*

განათლების ადმინისტრირება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სოფო გორგოძე, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2018

განაცხადი

წარმოდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ ისეთ მასალას, რომელიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ანა კამლაძე

22/06/2018

აბსტრაქტი

არსებობს არაერთი თეორია, რომლებშიც უნივერსიტეტის ფუნქციისა და როლის შესახებ სხვადასხვაგვარი მოსაზრებაა გამოთქმული. უნივერსიტეტის ფუნქციის დადგენა მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ განისაზღვროს პრიორიტეტები, ამის შესაბამისად დაიგეგმოს უმაღლესი განათლების პოლიტიკა და საზოგადოებრივად, ნათელი იყოს, თუ რა არის უნივერსიტეტის მთავარი არსი.

ნაშრომის მიზანია გამოიკვლიოს სტუდენტების მოსაზრება უნივერსიტეტის მთავარი ფუნქციის შესახებ და ის, თუ რა განაპირობებს ამ მოსაზრებებსა და შეფასებებს.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის შერეული მეთოდოლოგია, როგორც რაოდენობრივი, ასევე თვისებრივი. რაოდენობრივი მეთოდით, ანკეტირების გზით გამოიკითხა საქართველოს 5 უნივერსიტეტის სტუდენტები, თვისებრივი მეთოდით კი, სიღრმისეული ინტერვიუები ჩატარდა სტუდენტებთან და განათლების ექსპერტებთან. ასევე განხორციელდა ორი ფოკუს-ჯგუფი სტუდენტებთან, ერთი დასავლეთ და ერთი აღმოსავლეთ საქართველოში.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სტუდენტებისთვის უნივერსიტეტის მთავარი ფუნქცია არის უკვე დაგროვილი ცოდნის გადაცემა; ასევე სტუდენტებს მიაჩნიათ, რომ უნივერსიტეტმა მათ უნდა მისცეს ვიწრო სპეციალიზაცია და უპირატესად განუვითაროს პროფესიული უნარ-ჩვევები.

ნაშრომი ემსახურება იმის წარმოჩენას, თუ რა მოსაზრება აქვთ უნივერსიტეტის უმთავრესი ფუნქციის შესახებ სტუდენტებს საქართველოში და ამის მიხედვით შესაბამისი დასკვნების გაკეთებას ქვეყანაში არსებული სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობისა და სამომავლოდ განსახორციელებელი ნაბიჯების შესახებ.

საკვანძო სიტყვები: უმაღლესი განათლება, უნივერსიტეტის ფუნქცია, კვლევითი საქმიანობა, ცოდნის დაგროვება, პროფესიული უნარ-ჩვევები.

Abstract

There are many theories with different approaches about the main role of university. Identification of the function of university is important in order to define higher education policy and to clarify what is the main idea of university.

The purpose of this paper is to show what students consider to be the main function of university today, to show the factors that define their opinions and evaluations and to describe what the reality is like.

The paper is based on mixed research methodology, quantitative plus qualitative methods. The students were surveyed in five Georgian universities via questionnaires. Qualitatively, in-depth interviews and focus groups were held with students and the experts of education.

The research showed that for students the main function of university is to transfer knowledge, to get narrow specialization and develop their professional skills.

The paper aims to show what students in Georgia think about the main function of university. According to this information, we can analyze the socio-political condition in the country and define the future steps in order to make changes.

Key words: Higher education, the role of university, function of university, research, knowledge transfer, professional skills.

მადლობა

მოცემული ნაშრომის შექმნაში უნდა აღინიშნოს განათლების ადმინისტრირების მაგისტრანტი ლაშა მაჭარაშვილის მნიშვნელოვანი წვლილი, რომელმაც ჩემთან და სოფო გორგოდესთან ერთად მოიპოვა და დაამუშავა რაოდენობრივი მონაცემები. კვლევა ჩატარდა კურსის „უმაღლესი განათლების ისტორია და სოციოლოგია“ ფარგლებში. კვლევა ეხებოდა სტუდენტების მოლოდინებს უნივერსიტეტისგან. კვლევის პრეზენტაცია შედგა როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენებზე, კვლევის ანგარიში და სტატია კი გამოსაქვეყნებლად მზადების პროცესშია. სამაგისტრო ნაშრომის რაოდენობრივ კომპონენტში ფოკუსი გავაკეთე ისეთ რაოდენობრივ მონაცემზე, რომელიც ზემოთაღნიშნულ კვლევის მთავარ ფოკუსს არ წარმოადგენდა.

მადლობა ორგანიზაცია „განათლების საკონსულტაციო ცენტრს“ კვლევის რაოდენობრივი კომპონენტის განხორციელებისას ფინანსური მხარდაჭერისთვის და მაგისტრანტ ნათია ქებურიას მონაცემთა შეგროვების პროცესში გაწეული დახმარებისთვის.

ასევე მადლობა მინდა გადავუხადო ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებისა და ხელოვნების ფაკულტეტს მხარდაჭერისთვის და პროფესორებს კონსულტაციისთვის.

მადლობა კვლევაში მონაწილე ხუთივე უნივერსიტეტის (იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი, აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ადმინისტრაციას, გაწეული მხარდაჭერისთვის და სტუდენტებს, კვლევაში მონაწილეობისთვის.

მადლობას ვუხდის განათლების სპეციალისტებს, სიღრმისეულ ინტერვიუებზე თანხმობისთვის.

და ბოლოს, განსაკუთრებული მადლობა კვლევის ხელმძღვანელ სოფო გორგოძეს.